www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

2024 წელი

04.03.2025
www.geostat.ge

04.03.2025

საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წელი)

2024 წელს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 644.5 ათასი მგზავრი, ხოლო მგზავრთბრუნვის მოცულობამ 1 766.2 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 1.8-ჯერ, მგზავრთბრუნვის მოცულობა კი 2.0-ჯერ აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს.

საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და მგზავრთბრუნვა



04.03.2025

2024 წელს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადატანილია 269.6 ათასი ტონა ტვირთი, ხოლო ტვირთბრუნვის მოცულობამ 611.5 მლნ. ტონა-კილომეტრი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა როგორც გადატანილი ტვირთის (20.3 პროცენტით), ისე ტვირთბრუნვის (43.6 პროცენტით) მოცულობა.

საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის და ტვირთბრუნვის მოცულობა



04.03.2025

2024 წელს საქართველოს აეროპორტები 7 440.3 ათას მგზავრს მოემსახურა[1], რაც 23.9 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს — აეროპორტებმა მიიღო 3 711.6 ათასი მგზავრი (24.2 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 3 728.7 ათასი მგზავრი (23.5 პროცენტით მეტი).

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი კაცი)



[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

04.03.2025

2024 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 94.0 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით,
(%)



2024 წელს საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 30.3 ათასი შეადგინა, რაც 18.9 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

სამგზავრო რეისების რაოდენობა
(ათასი)



04.03.2025

2024 წელს საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 26.2 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 86.7 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 13.3 პროცენტი - გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,
(ათასი ტონა)



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით,
(%)



2024 წელს საქართველოს აეროპორტებში 2.2 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 2.1-ჯერ აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს.

2024 წელს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული იყო 70 ერთეული საჰაერო ხომალდი (16.7 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით), რომელთა 78.6 პროცენტს სამგზავრო საჰაერო ხომალდები შეადგენდა, ხოლო 21.4 პროცენტს — სატვირთო. სამგზავრო საჰაერო ხომალდების 76.4 პროცენტს 50-ზე ნაკლები ადგილი ჰქონდა, 10.9 პროცენტს — 51-150 ადგილი, ხოლო 12.7 პროცენტი იყო 151-250 ან მეტი ადგილით.

2024 წლისთვის საქართველოს აეროპორტებს ჰქონდა 6 ასაფრენი ბილიკი, 58 გამშვები პუნქტი, 25 სამგზავრო გასასვლელი და 1.9 ათასი საპარკინგე ადგილი კერძო ავტომობილებისათვის.

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge